პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ქუთაისი

2017

პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის დაწესებულებას ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროფესიული მასწავლებელი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
- შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს უფლება აქვს:
  - მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმართვაში დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
  - ჩარევის გარეშე განახორციელოს თეორიული და პრაქტიკული სწავლება;
  - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
  - განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით, დაწესებულების დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებები.

- პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია:
  - დაიცვას დაწესებულების სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
  - შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციები

თანამშრომლობა, ჩართულობა, გუნდური მუშაობა - მასწავლებელი უნდა იყოს სათანადოდ კომპეტენტური, რომ შეძლოს დაამყაროს და გაუძღვეს ურთიერთობებს სოციალურ პარტნიორებთან, იკონტაქტოს მათთან ყველა დონეზე და ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის პროდუქტიულობას.

კოლეგებთან კავშირი, პროცესების და სწავლების გამოწვევების განხილვა და სასწავლო სტრატეგიების გაზიარება განაპირობებს გადაჭრის გზების პოვნას, რომლის დანერგვასაც მასწავლებლები შეძლებენ სასწავლო გარემოში, პროექტების განვითარებისას და პროფესიულ პედაგოგიკაში. ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობა მოითხოვს ხელმძღვანელობის ჩამოყალიბებას და კოლეგებს შორის ურთიერთობას.

უფრო ფართო გაგებით, ის ასევე გულისხმობს ორგანიზაციაში მუშაობის უნარებს, რაც აყალიბებს ინსტიტუციათა შორის ურთიერთთანამშრომლობას. კიდევ უფრო ფართო გაგებით, მობილობის და საერთაშორისო პროექტების საშუალებით, ურთიერთთანამშრომლობა აღწევს საერთაშორისო და გლობალურ მასშტაბებს.

გვსურს ხაზი გავუსვათ თანამშრომლობითი ურთიერთობების მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ სამუშაო გარემოსა და ინსტიტუციათა შორის ინფორმაციისა და სამუშაო გამოცდილების გაცვლისას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მასწავლებლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების გარემო უნდა შედგებოდეს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ქსელისგან, რომელშიც მასაწავლებელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

პროექტი და განვითარებადი მუშაობა - დღევანდელი პროფესიული ინსტიტუციების მასწავლებლები ყოველდღიურად უნდა იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც უნდა მოიცავდეს თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროექტები უნდა შეიქმნას საგანმანათლებლო დაწესებულების, რეგიონის, პროფესიული პედაგოგიკის და ყოველდღიური ცხოვრებისეული საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწვლებელი პროფესიული განათლების რეფორმებში მთავარ როლს ასრულებს. მან ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულების კარგი რეპუტაციის შექმნას საზოგადოების თვალში, რაც განაპირობებს სტუდენტების მაღალ მოთხოვნას დაწესებულებისადმი. ასევე, შესაძლოა ითქვას, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ინსტიტუციის ხარისხისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და კომპეტენტური იყოს სამეწარმეო სფეროშიც.

უწყვეტი განათლება - სასწავლო და სამუშაო გარემოს განსავითარებლად მასწალვლებელს უნდა შეეძლოს და ჰქონდეს მოტივაცია თვითშეფასების გაკეთების და მისი ასახვის. ასახვა უნდა განხორციელდეს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე მომუშავე საზოგადოების დონეზე. კომუნიკაცია სამსახურეობრივი მოველაობის შესრულების არსებითი იარაღია. ის მოითხოვს კოლეგიალურ ურთიერთანამშრომლობას, ნდობასა და ჩართულობას. საორგანიზაციო ჯგუფმა უნდა შექმნას უსაფრთხო გარემო ჩართულობისათვის, კრეატიულობისთვის, ექპერიმენტებისათვის და ინოვაციებისთვის. მასწავლებელმა მუდმივად უნდა შეაფასოს მის მიერ შესრულებული

სამსახურეობრივი მოვალეობა სამეცნიერო ლიტერატურის თვალით, დაკვირვებით და კომუნიკაციით. მასწავლებელი უნდა განვითარდეს ინსტიტუციაში, პროფესიაში, ბაზარზე, საგანმანათლებლო სისტემასა და პროფესიულ პედაგოგიკაში არსებული ცვლილებების პარალელურად. იგი უნდა ფლობდეს თავის სფეროში უახლეს ინფორმაციას პედაგოგიური თეორიების და ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. მან უნდა განავითაროს თავისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დააკვირდეს პროგრესს, თუ რამდენად აღწევს დასახულ მიზნებს და პერიოდულად განსაზღვროს მიზნები მოთხოვნილი დონის შესაბამისად. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი. ყველა მასწავლებლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსხვავდება, ვინაიდან ეს დამოკიდებულია მათ სამუშაო ადგილზე და შეხედულებებზე.

სასწავლო გარემოს შექმნა ცალკეული პირებისათვის/ჯგუფებისათვის და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა - მასწავლებელმა უნდა შექმნას, განავითაროს და შეინარჩუნოს ხელშემწყობი, მოქნილი და ინოვაციური სასწავლო გარემო როგორც ცალკეული პირებისათვის, ასევე ჯგუფებისათვის. მასწავლებელს უნდა შეეძლოს იპოვოს ახალი გზები, რომელთა საშუალებითაც ხელს შეუწყობს სწავლებას და შექმნის ინტელექტუალურად გამომწვევ, ჩართულ და აქტიურ სასწავლო გარემოს, რომელიც დააკავშირებული იქნება დანარჩენ სამყაროსთან. მან უნდა გაითვალისწინოს სტუდენტების ინდივიდუალური თავისებურებანი და იპოვოს გზა, რომ ყველამ მიაღწიოს დასახულ მიზანს. სტუდენტებს სხვადასხვა გზით შეუძლიათ მიაღწიონ მიზანს, რაც სწავლების პროცესში მასწავლებლის მხრიდან ხელშეწყობილი უნდა იყოს. ასევე მასწავლებელმა უნდა შექმნას განსაკუთრებელი სასწავლო გარემო სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. სულ მცირე, მასწავლებელმა უნდა შეძლოს სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტის შემჩნევა და დაუკავშირდეს დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის კონსულტირებას სპეციალისტთან.

მნიშვნელოვანია პრაქტიკულის მასწავებლებელს ჰქონდეს თეორიული ცოდნა იმისა, რასაც ასწავლის. სასწავლო მასალა უნდა იყოს მოქნილი, რათა მასწავლებელმა შეძლოს უპასუხოს გარემოებათა ცვლილებებს. მასალის ცოდნის მოთხოვნილი დონე განსხვავდება სხვადასხვა საკითხის მიხედვით. ამ შემთხვევაში მისაღებია ჯგუფური სწავლება.

მასწავლებელმა უნდა ითანამშრომლოს სასწავლო გარემოს შექმნისას და ხელი შეუწყოს სწავლების პროცესს სხვადასხვა დონეზე. ის ჩართული უნდა იყოს ინსტიტუციების განვითარების პროცესში, უნდა შეძლოს თანამშრომლობა კურუკულუმის შემუშავებისას, დაგეგმოს საკუთარი სასწავლო მოდული, ითანამშრომლოს ინსტიტუციის ხარისხის განვითარებისათვის და ვალდებულება აიღოს სხვადასხვა პროექტებზე. გვინდა ხაზი გავუსვათ შეფასების მნიშნელობას, როგორც ფასილიტატური სწავლების საშუალებას. მნიშვნელოვანია მასწავლებელს შეეძლოს შეაფასოს და წარმოადგინოს სტუდენტის სწავლის, პროგრესის და მისაღწევი სასწავლო მიზნების ანგარიში.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები - პროფესიულის მასწავლებელს უნდა შეეძლოს სტუდენტის სწავლის გასაუმჯობესებლად სწავლების პროცესში მოახდინოს ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინტეგრირება. მას უნდა შეეძლოს ძირითად კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, როგორიცაა: MS Word, MS Excel, MS Power point, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა. მას ასევე უნდა შეეძლოს ძირითადი აღჭურვილობის, როგორიცაა კომპიუტერი, პროექტორი და ა.შ. გამოყენება.

პროფესიულის მასწავლებელს ასევე უნდა ჰქონდეს უახლესი ცოდნა იმ პროფესიული მოდულების კომპიუტერულ პროგრამებზე, რომლებსაც ასწავლის. მან წვლილი უნდა შეიტანოს სტუდენტის კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებაშიც. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ერთად მუშაობა.

მასწავლებლის სხვა პერსონალური მახასიათებლები - მასწავლებელი უნდა იყოს ავტონომიური და ნდობით აღჭურვილი ექსპერტი, რომელიც თამაშობს პროაქტიულ როლს. მასწავლებელი ასევე უნდა იყოს კომუნიკაბელური, გონიერი და მოტივირებული იმისათვის რომ დააკვირდეს და გაუძღვეს კონსტრუქციულ დიალოგს სტუდენტებთან, რათა იპოვოს საუკეთესო გზა სტუდენტების პერსონალური განვითარებისათვის. ასევე მორალური პატიოსნება, ეთიკური პასუხისმგებლობა და თავდადება პროფესიული პრაქტიკის მიმართ, არის წინაპირობა ინსტიტუციაში მასწავლებლად აყვანისა.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა სამსახურში მიღების წესი

მუხლი 1. მასწავლებლის უფლებამოსილება

მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

მუხლი 2. მასწავლებლის თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. მასწავლებლად შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
2. მასწავლებლის თანამდებობაზე პირის არჩევა ხდება სამიდან ოთხ წლამდე ვადით.

მუხლი 3. მასწავლებლის თანამდებობის დაკავების წესი

1. მასწავლებლის თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო/რექტორი.
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე.
4. მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება კონკურსის პირობები, რეგისტრაციის ვადები და ადგილი, კონკურსის დასრულების თარიღი.

5. ინფორმაცია კონკურსის შესახებ ქვეყნდება გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსანტის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების საფუძველზე ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. მასწავლებლის თანამდებობაზე არჩეული პირი უნივერსიტეტთან აფორმებს ხელშეკრულებას.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. საკონკურსო კომისია

- მასწავლებლის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია.
- კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე ,კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
- საკონკურსო კომისიას ქმნი სუნივერსიტეტის რექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
- საკონკურსო კომისიის წევრს უფლება არააქვს იყოს მასწავლებლის თანამდებობის მაძიებელი (კონკურსანტი).

მუხლი 2. კონკურსისათვის წარმოსადგენი საბუთები

2.1.მასწავლებლის თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება რექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე ;
- პირადობის მოწმობი სასლი;
- ორი ფოტო სურათი ზომით 3X4-ზე;
- შევსებული კონკურსანტის ანკეტა (უცხო ენის მასწავლებელთათვის ქართულ და შესაბამის უცხო ენაზე) ელექტრონულ ვერსიასთან ერთადCD დისკზე ;
- პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გამოქვეყნებული შრომების სია (ბოლო 5 წელი);
- 1 გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც კონკურსანტის შეხედულებით ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის პედაგოგიურ პოტენციალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში, სერთიფიცირებაში, სტაჟირებაში, კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წელი);
- ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგი აქტივობების შესახებ:
  ა) საგრანტო პროექტებში მონაწილეობა;
  ბ) დარგობრივი გაერთიანებების, საზოგადოებების, ასოციაციების და სხვ. წევრობა;

გ) წაკითხული სასწავლო კურსები;
დ) გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წელი)(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) და სხვა.

მუხლი 3. სარეგისტრაციო კომისია

- საკონკურსო საბუთების მიღებას, დამუშავებას და საკონკურსო კომისიისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სარეგისტრაციო კომისია.
- სარეგისტრაციო კომისიის შემადგენლობას უნივერსიტეტის პერსონალიდან განსაზღვრავს რექტორი.
- სარეგისტრაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.

მუხლი 4. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის მუშაობა მიმდინარეობს სექციებად, შესაბამისი ენის მიმართულებით კომისიის წევრების, კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის შემადგენლობით.
2. კონკურსანტის შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით გასაუბრების (ზეპირი ინტერვიუ) საფუძველზე. კომისია გასაუბრების მეშვეობით ადგენს კონკურსანტის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
3. კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
   - უმაღლესი განათლების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - (0-5 ქულა)
   - პედაგოგიური გამოცდილება- (0-5 ქულა)
   - პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში, სერთიფიცირებაში, სტაჟირებაში მონაწილეობა(ბოლო 5 წელი)- (0-5 ქულა)
   - გამოქვეყნებული შრომები (ბოლო5 წელი)-(0-5 ქულა)
   - გამოცემული სახელმძღვანელოები (ბოლო 10 წელი) -(0-5 ქულა)

   გასაუბრება (ზეპირი ინტერვიუ):
   ა) ზოგადი კითხვები (0-5 ქულა);
   ბ) დარგობრივი კომპეტენცია (0-10 ქულა).
   გ) პრაქტიკული მეცადინეობის გეგმა- (0-10 ქულა)
4. კონკურსის შედეგები ისაზღვრება კონკურსანტთა შეფასებების რანჟირების საფუძველზე.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

- სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად.
- მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს, განსაზღვრავს მოდულის ხელმძღვანელი.
- შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას;
- ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

- მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 8 დღისა, ხოლო ყოველ შემდგომ სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებას არეგულირებს დაწესებულების ხელმძღვანელი გამოცემული აქტით.
- დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასებისა პროგრამის დასრულებამდე.
- დაუშვებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.
- შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად.
- კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.
- შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

- პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის. ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებებთან და, ზოგადად, შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული „შეფასების სახელმძღვანელო". მტკიცებულებები უნდა იქნას დაცული და ინახებოდეს 5 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - <u>მუდმივად.</u>

აუცილებელი დოკუმენტაცია, რაც უნდა იყოს დაწესებულებაში შემუშავებული მოდულური პროგრამების ადმინსტრირებისთვის

- დანერგვის შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო გეგმა თარიღების და პასუხისმგებელი პირების მითითებით;
- ადაპტირებული შიდა მარეგულირებელი აქტები მოდულების დანერგვისათვის;
- სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მოდულის/მოდულების კალენდარული გეგმა, სასწავლო გეგმა, მეცადინეობის ცხრილი, მეცადინეობაზე დასწრების ოქმი;
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებული ნიმუშები;
- მოდულის/მოდულების განხორციელების გრაფიკი;
- ადმინისტრაციის კითხვარი;
- მასწავლებლის კითხვარი;
- სტუდენტთა კითხვარი.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში

- **ზეპირი გამოკითხვა** გულისხმობს სტუდენტის პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე
- ზეპირი გამოკითხვით შეიძლება როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ასევე სტუდენტის აზროვნების შემოწმება.
- ზეპირი გამოკითხვის გამოყენება შეიძლება როგორც განმსაზღვრელი შეფასებისას, ასევე განმავითარებელი შეფასებისას
- ზეპირი გამოკითხვა ხშირად შეფასების თანმხლები ფორმაა, მაგალითად პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას გვინდა გავიგოთ, თუ რამდენად ესმის სტუდენტს მის მიერ შესრულებული მოქმედებები, ან თუ გვინდა მოვისმინოთ კონკრეტული ქმედებების ახსნა-განმარტება

წერითი დავალება

- კოგნიტური უნარები, პროდუქტი
- ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გამოსათვლელი სამუშაოს ჩატარება. მაგ.: კომბინირებულ საკვებში ანტიბიოტიკების რაოდენობის (მგ/კგ) განსაზღვრა; თესლბრუნვის სქემის შედგენა; მემცენარეობის ცალკეულ დარგებზე

როლური თამაში

- როლური თამაშებისას, სტუდენტებისთვის წარმოდგენილია სიტუაციები, ხშირად პრობლემა ან ინციდენტი, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინონ კონკრეტული როლის მორგებით — განსხვავებით სიტუაციის ანალიზისგან, რომლის დროსაც სტუდენტი პასიური დამკვირვებელია.

- **როლური თამაში გამოიყენება**, როგორც თეორიულ ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების შეფასებისთვის, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში.

- **როლური თამაშის დავალება/ინსტრუქცია :**
  - უნდა იყოს წერილობითი.
  - დეტალურად აღწერს თამაშის მიზანს, შესრულების დროს, თამაშის განმავლობაში შესასრულებელ როლს, თამაშის წესს, ~
  - უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, გასაგები და კონკრეტული.

- როლური თამაშის შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.

- დაკვირვების შედეგები იწერება წინასწარ შემუშავებულ ოქმში./დაკვირვების ფურცელში /"ჩეკ-ლისტში"

ტესტები:

პროფესიული განათლების სფეროში ტესტი ძირითადად ცოდნის შესამოწმებლად გამოიყენება.

ტესტების ნაირსახეობებია

- „ჭეშმარიტია / მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები
- მტკიცებულების / მიზეზის შემცველი კითხვები (მრავალი არჩევითი პასუხით)
- გამოტოვებული სიტყვების ჩასმა
- კითხვები - შესაბამისობის დადგენა
- ბადისებრი შეკითხვები
- კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით
- მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები
- კითხვები შეზღუდული არჩევანით

პროდუქტის შეფასება:

პროდუქტის შეფასების თანმიმდევრობა

1. შეარჩიეთ პროდუქტის შეფასების კრიტერიუმები
2. დაადგინეთ კრიტერიუმების მნიშვნელობები/ზღვრები/კატრგორიები *(მაგალითად, ტორტის დიამეტრი 28 სმ ± 2 სმ; ძირითადი ფონი - ვარდისფერი; გემო - კარგი)*
3. ჩავწეროთ პროდუქტის შეფასების ფურცელში (ჩეკ-ლისტში)
4. განსაზღვრეთ კრიტერიუმების საფუძველზე პროდუქტის შეფასების შედეგი

მტკიცებულებები:

მტკიცებულება - სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური სახით არსებული დასტური.

(მაგალითად, სტუდენტის მიერ შევსებული ტესტი, შესრულებული ნახაზი, შექმნილი ნაკეთობა ან ნაკეთობის ფოტო, შემოწმების ფურცელი, რომელიც მასწავლებელმა შეავსო სტუდენტის მიერ შესარულებულ სამუშაზე დაკვირვების შედაგად და ა.შ.)

მტკიცებულებების შეგროვება, შესაბამისად სტუდენტთა შეფასება, მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.

მტკიცებულებების შეგროვება შეიძლება ხორციელდებოდეს სასწავლო აუდიტორიაში, სახელოსნოში, კომპიუტერულ კლასში, პრაქტიკის ობიექტზე, სხვა სასწავლო დაწესებულებებში, საგამოცდო დარბაზებში და ა.შ.

როგორი უნდა იყოს მტკიცებულება?

- **ვალიდური** -ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასდეს
- **ტრანსფერული** - სტუდენტს შეუძლია ამოცანები შეასრულოს დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან შეფასების პროცესში, არამედ სამუშაო ადგილზეც.
- **ავთენტური** -შესაფასებელი სტუდენტის მიერ შექმნილი
- **საკმარისი** - აჩვენებს, რომ სტუდენტს შეუძლია, შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად
- **მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.**

შეფასების ინსტრუმენტი	მტკიცებულებათა მაგალითები	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტი შედეგი	აკადემიური უნარები კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური
1. ტესტი	შევსებული ტესტი			X
2. წერითი დავალება (წერითი ნაშრომი)	წერითი ნაშრომი		X	X
3. შემთხვევის შესწავლა (Case Study)	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების სქემა (Checklist)		X	X
4. კითხვები ღია დაბოლოებით	შევსებული ტესტი			X
5. ზეპირი შეკითხვები	შევსებული შეფასების ფურცელი (Checklist) ან/და აუდიო ჩანაწერი	X	X	X
6. სტრუქტურირებული შეკითხვები	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების ფურცელი (Checklist)			X
7. პროექტი	წერილობითი ანგარში ან/და ელექტრონული ფაილი		X	X
8. პროფესიული განხილვები	პორტფოლიო; მასწავლებლის ჩანაწერი; აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერი	X		X
9. პრაქტიკული დავალება	შექმნილი პროდუქტი; დაკვირვების ჩანაწერი; ფოტო სურათები; ვიდეო ჩანაწერი; პრაქტიკის დღიური; ელექტრონული ბლოგი	X	X	X
10. როლური თამაში	მასწავლებლის შევსებული შემოწმების ფურცელი (Checklist); ვიდეო ჩანაწერი	X		X
11. სიმულაცია	მასწავლებლის შევსებული შემოწმების ფურცელი (Checklist); ვიდეო ჩანაწერი	X		X

რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში ?

- დაწესებულების, მოდულის, მოდულში შესრულების კრიტერიუმები დასახელება
- შეფასების ინსტრუმენტები (ტესტი, ესსე, პრეზენტაცია, ა.შ)
- ინტეგრირებული შეფასების შესაძლებლობა
- შერჩეული შეფასების ინსტრუმენტებისთვის განვსაზღვროთ შეფასების კრიტერიუმები (რუბრიკა) და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები
- დავალების შინაარსი
- დროის რეგლამენტი
- დამატებითი პირობები
- შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი
- სტუდენტის მიერ წარსადგენი მტკიცებულები
- შეფასების დადასტურების პირობები
- განმეორებითი შეფასების პირობები

შეფასების ინსტრუმენტის ფორმის ნიმუში (1)

1.	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	
2.	პროგრამის დასახელება:	პროგრამის დასახელება; კოდი
3.	მოდულის დასახელება:	ჩაწერეთ მოდულის დასახელება; კოდი
4.	სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი:	შესაძლებელია ერთდროულად შემოწმდეს ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგი ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. მაგ. სწავლის შედეგი 1/ კრიტერიუმი 1; 2; 4
5.	შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტი:	ჩაწერეთ რომელი მიმართულების ფარგლებში აწარმოებთ შეფასებას. ჩაწერეთ შეფასების ინსტრუმენტის დასახელება. მაგ. ტესტი/ პრაქტიკული დავალება/როლური თამაში ან სხვა.
6.	დავალების აღწერა:	დანართი 1 (მიუთითეთ ფურცლების რაოდენობა)
7.	მტკიცებულება:	მიუთითეთ რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი (მაგ. შევსებული ტესტი, შესრულებული ნაკეთობა, პროექტი, პორტფოლიო და ა.შ.) შესაძლებელია მტკიცებულება წარმოდგენილი იქნას როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით.
8.	შესრულების კრიტერიუმის /სწავლის შედეგის დადასტურება:	დანართი 2 (მიუთითეთ ფურცლების რაოდენობა)
9.	განმეორებითი შეფასების პირობები	მიუთითეთ რამდენჯერ და როდის არის შესაძლებელი განმეორებითი შეფასება
10.	შეფასების ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები:	გვარი, სახელი , ხელმოწერა
11.	შიდა ვერიფიკატორი (ინსტრუმენტის შემმოწმებელი):	სახელი, გვარი, ხელმოწერა
12.	შიდა ვერიფიკაციის თარიღი ?????	

შეფასების ინსტრუმენტის ფორმის ნიმუში (2)

შესაფასებელი პირი(სახელი, გვარი)----------

თარიღი----------

დავალების აღწერა
1.დავალების შესრულების ინსტრუქცია ა) აღწერეთ დავალების არსი და მისი შესრულების თანმიმდევრობა: რა და როგორ შეასრულოს გამოსაცდელმა პირმა; მიუთითეთ დავალების შესრულებისთვის **გამოყოფილი დრო.** საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ დავალების შესრულებისათვის **საჭირო გარემო** და **რესურსები .** 2. დავალების დადასტურების პირობები დაწვრილებით აღწერეთ, რა შემთხვევაში ჩაეთვლება სტუდენტს სწავლის შედეგი დადასტურებულად; (თითოეული კრიტერიუმისთვის უნდა დადგინდეს დასაშვები ზღვრები/რიცხვითი მნიშვნელობები/ხარისხის გრადაცია(კარგი, საშუალო, ცუდი)/„ვეტოს“კრიტერიუმი)

(ჩეკ-ლისტის მაგალითი)

დავალების შეფასების კრიტერიუმი	**შეფასება**	
	დიახ	**არა**
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		

კომენტარებისათვის

სახელმძღვანელო მომზადებულია ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) დაფინანსებული პროექტის „პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სახელმძვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე“ ფარგლებში.